

**გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა
და მემკვიდრეობის მუზეუმის პირდაპირის**

2011 წელს განხორციელებული საქმიანობის

ანბარიშვი

2011 წელს შესრულდა გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსებიდან 70 წელი. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრმა 2011 წელი საიუბილეო წლად დასახა: ინსტიტუტის 70 წლისთავს მიეძღვა ცენტრის მიერ ორგანიზებული ორი საერთაშორისო კონფერენცია და თბილისის სამხატვრო აკადემიასთან ერთად მოყვობილი სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია; მომზადდა უურნალის „საქართველოს სიძველენი“ საიუბილეო გამოცემა. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსების დღეს – 1 აპრილს ევროპის სახლში გაიმართა საიუბილეო საღამო და ცენტრის მიერ გამოცემული წიგნების პრეზენტაცია (პრცლად იხ. ქვემოთ).

პრეზიდენტის მიერ განკუთხული სახელმწიფო მინისტრის

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი დაარსდა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის 12 დეკემბრის განკარგულებით, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზნები და ფუნქციები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) მეცნიერებული კვლევა, მისი პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორცილებული პროექტების ექსპერტიზა; საინვენტარიზაციო-სააღრიცხვო საქმიანობა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; საზოგადოების ინფორმირება; საკონსერვაციო და კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება; სახელმწიფოს დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში, კერძოდ:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სფეროებში;
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;
- კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი კულტურული ღირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სამაგისტრო კურსები);

- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის პალეოს ეროვნული ცენტრის სამეცნიერო მუშაობას წესდების შესაბამისად წარმართავს 2008 წლის ნოემბერში არჩეული სამეცნიერო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა ხელოვნებათმცოდნების დოქტორი, პროფ. დიმიტრი თუმანიშვილი; თავმჯდომარის მოადგილე ხელოვნებათმცოდნების დოქტორი მზია ჯანჯალია; სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი ხელოვნებათმცოდნების დოქტორი ქეთევან მიქელაძე. ცენტრის დირექტორია ხელოვნებათმცოდნების დოქტორი მარიამ დიდებულიძე, დირექტორის მოადგილე – იურისტი ლევან ზედგენიძე.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრის სტრუქტურა:

სამეცნიერო ნაწილი – ორი განყოფილება:

ძველი ხელოვნების განყოფილება

ახალი და თანამედროვე ხელოვნების განყოფილება;

არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი;

ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი.

ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორია.

2011 წელს ცენტრში მუშაობდა 79 თანამშრომელი. მათ შორის 60 მეცნიერი თანამშრომელი, აქედან 7 მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, 33 უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, 20 მეცნიერი თანამშრომელი; მათ შორის 9 ახალგაზრდა მეცნიერი. 2011 წელს ცენტრში სტაუირებას გადიოდა 10 ახალგაზრდა მეცნიერი. 2011 წლებს ცენტრმა მიიღო ორი მეცნიერი თანამშრომელი საზოგადოებრივ საწყისებზე.

**გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და მემკვიდრეობის
ეროვნული კვლევის ცენტრი 2011 წლის განხორციელდა გამოით
ბათვალისწინებული შემთხვევი საქმიანობა**

1. სამეცნიერო კვლევა

- 1.1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება;
- 1.2. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება;
- 1.3. შუა საუკუნეების ქართული ქვისა და ლითონის ქანდაკება;
- 1.4. შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა;
- 1.5. შუა საუკუნეების ქართული ხელნაწერი წიგნის დასურათება;
- 1.6. შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების იკონოგრაფია;
- 1.7. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება;
- 1.8. ხელოვნების ნაწარმოებთა კორპუსების შედგენა;
- 1.9. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორია;
- 1.10. ქართული სცენოგრაფია;
- 1.11. ახალი არქიტექტურის განვითარების ისტორია;
- 1.12. საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა

კერძოდ, დამუშავდა შემდეგი თემები:

1.1. ჭირაშოთიანული ხანის ხელოვნება



- **ურარტული სარტყლები საქართველოში, ნინო გომელაური**
საქართველოში ურარტული ბრინჯაოს სარტყლების რამოდენიმე ნიმუშია აღმოჩენილი: სამი ეგზემპლარი თლიას (შიდა ქართლი) სამაროვანში; სამი ფრაგმენტულად შემორჩენილი ცალი – კახეთში (ხირსა), შიდა ქართლსა (მცხეთიჯვარი) და აფხაზეთში (პალური). კახეთისა და შიდა ქართლის სარტყელთა ფრაგმენტები მეორადი მოხმარებისათვის ადრევება გადაკეთებული. სტილისტური ანალიზი მოწმობს, რომ ეს სარტყლები ურარტული ცენტრებიდანაა იმპორტირებული. თლიას სარტყლები ერთ ტიპოლოგიურ ჯგუფს განეკუთვნება და სტილის განვითარების სამ საფეხურს წარმოადგენს. საგარაუდოდ ისინი მომთაბარეთა მიერაა შემოტანილი, რომლებიც კავკასიის სამხრეთი ფერდობების გავლით წინააზიანა და ჩრდილო კავკასიის შორის მოძრაობდნენ. თლიას სამაროვანის სარტყელთა მეორე ჯგუფი კი ურარტული ნიმუშების გავლენით ადგილზეა დამზადებული. მხატვრული ანალიზისა და სამარხთა ინვენტარის გათვალისწინებით საქართველოში აღმოჩენილი ურარტული სარტყლები და მათი მინაბაძები ძვ.წ. VII-VI სს. თარიღდება. მათგან ურარტული შემოტანილი ცალების თარიღი ძვ.წ. VII ს I ნახევრით განისაზღვრება, მინაბაძებისა კი ძვ.წ. VII ს II ნახ. - ძვ.წ. VI ს-ით.

- **სპირალური ორნამენტების გენეზისი და მხატვრული ინტერპეტაციები**
წინაქრისტიანულ ქართულ ხელოვნებაში (მტკვარ-არაქსის და თრიალეთის კულტურა), მარიამ გაბაშვილი

სპირალური ორნამენტი საქართველოში აღმოჩენილ მრავალ არტეფაქტზე გვხვდება. მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურაში (ძვ.წ. IV-II ათასწლეულები) არსებული სპირალური ორნამენტის მოტივთა ადგილობრივი წარმომავლობა მათი მხატვრული ანალიზით დასტურდება. მხატვრული ინტეპრეტაციების კვლევის შედეგად ვლინდება ლოკალური თავისებურებები. მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურის ორტეფაქტების სპირალური ორნამენტის მხატვრული მოტივები გარკვეულ მსგავსებას

ამქლავნებს საქართველოს ფარგლებს გარეთ აღმოჩენილ სხვადასხვა საზოგადოებათა კუთვნილ ნიმუშებთან, კერძოდ, ანატოლიურ და ეგვიპტურ კულტურულ სივრცეში ამ მოტივთა და მხატვრული აზროვნების ერთიანობის საკითხები ნათელი ხდება.



12. შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება

- ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურა საქართველოში (ზოგადი კურსი ინგლისურ ენაზე, თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2011-2012 წწ.), დავით ხოშტარია**

თემა ორწლიანია და მიზნად ისახავს ადრეული შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ზოგადი კურსის მომზადებას ინგლისურ ენაზე. 2011 წელს მიმდინარეობდა წინასწარი სამუშაოები – შემუშავდა წიგნის კონცეპცია, განისაზღვრა სტრუქტურა, დამუშავდა ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა და საარქივო მასალა, მომზადდა წიგნის გრაფიკული და ფოტოსაილუსტრაციო მასალა.

- ასურელ მამათა სამშენებლო საქმიანობის თავისებურებები (ბრეთის მამა პიროსი), თამაზ სანიკიძე**

ბრეთის ეკლესია მოზრდილი დარბაზული ტიპის ნაგებობაა მინაშენებით. მონასტერი ბრეთში VI ს-ში ასურელ მამათაგან ერთ-ერთის, პიროსის მიერაა დაარსებული. ამ დროის უნდა იყოს უფრო გვიანდელ ნაგებობაში ჩრდ. ეგვტერად ჩართული მცირე ზომის ცალნავანი ეკლესია. ეკლესიის ფასადებზე კარგად ჩანს, რომ ნაგებობა ბევრჯელ ყოფილა შეკეთებული. მაგრამ მისი თავდაპირველი სტრუქტურა არ არის დარღვეული. ნაგებობას რომელიმე კონკრეტული ეპოქის მკაფიოდ გამოხატული ნიშანოვსიებები არ აქვს, მაგრამ გეგმარების, ძირითადი დარბაზისა და მინაშენების ურთიერთმიმართების, კედლების წყობის და სხვა ზოდაგი მახასიათებლების უახლოეს პარალელებს VIII-X სს. ძეგლებში (სარო, ტამალა, ურიათუბანი, შალოშეთი) ვხედავთ და ბრეთის მამა პიროსიც ამ დროით შეიძლება დათარიღდეს.

- ხუჯაბი და მისი ადგილი XII–XIV საუკუნეების არქიტექტურაში, ქეთევან აბაშიძე დადიანი**

ხუჯაბის ეკლესიის შედარება XII ს. და XIII ს-ის პირველი ნახევრის, XIII ს-ის ბოლოსა და XIV ს-ის ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან ნათლად წარმაჩენს მის მხატვრულ თავისებურებებსა და ადგილს ქართული ხუროთმოძღვრების ევოლუციაში, მისი აშენების თარიღს. ხუჯაბის ტაძარი ორგანულად ეწერება შეუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების საერთო სურათში. ეს ტაძარი თავისი სივრცით-მოცულობითი გადაწყვეტის, მხატვრული ჩანაფიქრისა და დეკორაციული მორთულობის თითქმის ყველა ნიშნით ამჟღავნებს კავშირს „ბეთანია-ქვათახევის“ ჯგუფთან და ქრონოლოგიურად დამაბოლოვებელ ადგილს იკავებს მასში. ამასთანავე ცალკეული ნიშნებით იგი ახალ გზებსაც სახავს XIII-XIV სს-ის „საფარა-ზარზამის“ ჯგუფის ძეგლებისაკენ. ამდენად იგი შუალედური ძეგლია ამ ორ ჯგუფს შორის.

- ხობის მონასტრის ხუროთმოძღვრება (თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2011-2012 წწ.), ირინე ელიზბარაშვილი**

კვლევის ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხობის ტაძრის შესახებ არსებული საარქივო-ბიბლიოგრაფიული მასალის მოძიება და დამუშავება. ეკლესიის ადგილზე შესწავლის საფუძველზე ზუსტდება ტაძრის აღმენების თარიღი, მიმდინარეობს სააღმშენებლო ფენების გამიჯვნა-შესწავლა და აზომვითი სამუშაოები. ძეგლის გახსნის და აზომვის პროცესში წამოიჭრა მნიშვნელოვანი საკითხები ხობის ღვთისმშობლის მიმინების ტაძრის აღმენების ისტორიის, ქრონოლოგიისა და არქიტექტურული ტიპის სახეცვლასთან დაკავშირებით.

- რიონისპირა სოფლების ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ახლადგამოვლენილი ნიმუშები (თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2011-2012 წწ.), მანანა სურამელაშვილი, ციცინო ჩაჩეუნაშვილი

რიონის ქვემო წელის, ისტორიული ქვემო ლეჩხეუმისა და იმერეთის (ცაგერისა და წყალტუბოს რაიონები) სოფლებსა და მიდამოებში საველე დაზერვითი ექსპედიციის დროს მრავალი მაღალმხატვრული ნიმუში გამოვლინდა; მათთან ერთად აღინუსხა ქრისტიანული ხუროთმოძღვრებისა და სათავდაცვო ნაგებობების საყურადღებო ნიმუშები. წლიური თემის ფარგლებში ჩატარდა გამორჩეული საცხოვრებელი სახლების და კარმიდამოების გადრმავებული კვლევა, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, იმის გამო, რომ აღნიშნული ტერიტორია ექცევა ნამოხვანის პიდროელექტროსადგურების კასკადის არეალში.

- სვანეთის შევრილაფსიდიანი ეკლესიები, გიორგი პატაშური

სვანეთის შევრილაფსიდიანი ეკლესიები ძირითადად ერთმანეთის მსგავსია. სამწახნაგიან აფსიდის წიბოს ხშირ შემთხვევაში „გადატეხილი“ პილასტრი, ზოგჯერ კი ლილგების კონა აუყვება. არის სრულებით სადა შევრილებიც და ორი შემთხვევაა როდესაც აფსიდი ხუთწახნაგა შევრილში თავსდება. ამ ტიპის ეკლესიები სახურავის მოწყობის პრინციპის მიხედვით შეიძლება ორ ნაწილად დაკვირთ. პირველ ჯგუფში არის ეკლესიები, რომელთაც შევრილი აფსიდის და ნავის გადახურვა დამოუკიდებელი აქვთ და გარედან აფსიდი ნაგებობის ტანთან შედარებით დაბალია, ხოლო ეკლესიათა მეორე ჯგუფი აერთიანებს ისეთ ნაგებობებს, რომელსაც ერთიანი სახურავი აქვს, ანუ დასავლეთის კედლის ფრონტონიანი გასრულების საპირისპიროდ, აღმოსავლეთით ფრონტონი არ კეთდება და სახურავიც პირდაპირ გადადის აფსიდზე. ეკლესიის ფასადებს სადა ზედაპირები აქვთ, რომელიც აღმოსავლეთით გაცილებით მძლავრ მოცულობაში გადაიზრდება. სვანური საეკლესიო ხუროთმოძღვრება მჭიდრო კავშირშია დანარჩენი საქართველოს ხუროთმოძღვრებასთან, თუმცა ამავდროულად ადგილობრივ ტრადიციებზე დამყარებული მკაფიო ინდივიდუალურობით ხასიათდება.

- არქეოლოგიურად გამოვლენილი ადრექტიანული ხანის ეკლესიები საქართველოში და მათი იდენტიფიცირება წერილობითი წყაროების მიხედვით, გია ჭანიშვილი

თემა არის ნაწილი სადისერტაციო ნაშრომისა „ქართული საეკლესიო არქიტექტურის წარმოშობისა და განვითარების საწყისი ეტაპის ისტორია წერილობითი და არქეოლოგიური წერტილის მიხედვით“. ნაშრომის ამ ნაწილში ძირითადად განხილულია სამთავროს „ფერისცვალების“ და ნეკრესის ე.წ. „მცირე“ ეკლესიის შესახებ არსებული წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ფაქტობრივი მონაცემები. თუ სამთავროს ამჟამინდებლი ფერისცვალების გუმბათიანი ეკლესიის ქვეშ გამოვლენილი ადრეული ეკლესიის ნაშთები შესაძლოა მირიან მეფის ხანას განეკუთვნებოდეს, ნეკრესის „მცირე“ ეკლესიის აგება მეფე თოდატის ეპოქაში საეჭვოდ ჩანს. არქეოლოგიურად დასაბუთდა, რომ ეს სამლოცველო „საფლავს ზედა ეკლესიას“ წარმოადგენს და საგანგებოდ არის მშენებლობის თანადროულ სამარხებზე აგებული. ეს ნაგებობა ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარეც V ს-ზე აღრინდელი არ უნდა იყოს.

- დარბაზის ხუროთმოძღვრების რაობისათვის, სამსონ ლევავა

მესხეთსა და ჯავახეთში შემორჩენილი ე.წ. დარბაზოვანი მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი შემადგენელია. ქართლის დედაბობიან დარბაზთაგან განსხვავებით, მესხურ-ჯავახური დარბაზოვანი უპირატესობას ანიჭებს გვირგვინის დომინანტურობას. დამახასიათებელია უფრო მძაფრი, ვიდრე ქართლის ნიმუშებში, კონტრასტი გარეგანი სახის მოკრძალებულობასა და შიდა სივრცის სიხალვათესა და მრავლისმომცველობას შორის. ოდური სათავის სხვა ტიპისაა – მხოლოდ ორ მხარესაა შეკიბული და მასში დომინანტურია ბუხარი – სანდახან ფაქიზი ორნამენტაციით. მეტად საინტერესო სტრუქტურა აქვს ბოსქელს, რომელიც მრავალფუნქციური იყო, კონსტრუქციათა მახვილგონივრულობით გამოირჩეოდა და პერიოდულად საზემო შესაკრებლად (ქორწილი, ზეობა, ნათლობა) ტრანსფორმირდებოდა. მთლიანად, ერთვარი

"ლაბირინთისებრი" გეგმარებით ერთი მხრივ და დედაბოძის "არაიმიტაციურ-ტექტონიკური", ზემომიმართული დინამიკით – მეორე მხრივ, დარბაზულ ხუროთმოძღვრებაში ეგეოსურ სამყაროსთან მიმართება ვლინდება, რაც შენიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ ამ ეტაპზე გაღრმავებულ კვლევას ითხოვს. მუშაობის ამ ორიოდში გამოვლინდა რამდენიმე ათეული უცნობი ძეგლი.

- **შუა საუკუნეების ქართველ ხუროთმოძღვართა და მშენებელთა ანოტირებული წესება,** ნათია ნაცვლიშვილი ნაშრომის მიზანია წარმოჩენილ იქნას შუა საუკუნეების საქართველოში მოღვაწე არქიტექტორები და მშენებელი ოსტატები. ნუსხაში შევიდა შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაცია დღესდღეობით ცნობილი ყველა ხუროთმოძღვრის, მშენებელი ოსტატისა და მშენებლობის ზედამხედველის შესახებ, რომლებიც მოღვაწეობდნენ საქართველოში IV საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე. ნუსხა მომზადდა სხვადასხვა სახის წერილობით წყაროთა (მატიანეგები, ჰაგიოგრაფიული თხზულებები, შენობათა წარწერები) ცნობებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების საფუძველზე. მომზადებული ნუსხა მთლიანად შევა წიგნში „ხუროთმოძღვრები და მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“, რომელიც გამოვა 2012 წელს.

- **ქართული ხელოვნების სახეითი ენისათვის (ქართული და ბიზანტიური ტაძრების შედარება),** ასმათ ოქროპირიძე

თემის მიზანია შეძლებისდაგვარად წარმოჩნდეს, თუ რა განსხვავებაა ქართულ და ბერძნულ (ბიზანტიურ) ხუროთმოძღვრული აზროვნების წესებს შორის. ამოსავალ წერტილად აღებულია ორი, შეიძლება ითქვას, ყველაზე გამორჩეული და ამასთან ტიპიური ძეგლი – მცხეთის ჯვარი და კონსტანტინოპოლის აია სოფია. მიუხედავად იმისა, რომ მათი, როგორც მართლმადიდებლური ტაძრის სემანტიკა საზოგადოა, ორივე ტაძარი ატარებს იმგვარ მსატგრულ განუმეორებლობას, სადაც ჩანს არა მარტო შემოქმედისა და ეპოქის ნიშნები, არამედ ეროვნული ფორმადექმნის სპეციფიკა, დამოკიდებულება ბუნებისადმი (ბუნების გააზრება, ლანდშაფტის და სტიქიათა ასახვა) და ა.შ. რაც გვიჩვენებს ამასთანავე ქრისტიანული ხელოვნების ერთ ძირეულ თვისებას – კანონიკურობისა და განუმეორებლობის თანაარსებობას



13. შუა საუკუნეების ქართული ქვისა

და ლითონის ქანდაკება

- **შუა საუკუნეების საოქრომჭედლო სახელოსნოები (თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2010-2012 წწ.),** ლეილა ხუსკივაძე, თემურ საყვარელიძე შესრულდა თემის ერთი ნაწილი – „ბელათის საოქრომჭედლო სახელოსნო“. გელათში საოქრომჭედლო სახელოსნოს არსებობა ადრინდელი დროიდან არის სავარაუდებელი. ამ სახელოსნოს უნდა მიეკუთვნებოდეს მთელი რიგი მაღალმხატვრული ძეგლებისა და მათ შორის ხახულის კარელი ხატიც. ამ ძეგლთა დაკავშირებას ერთ სამხატვრო სახელოსნოსთან, პირველ რიგში, ორნამებზე განსაზღვრავს. ესაა გარკვეული სტრუქტურის მოტივი – ფოთოლი, მოქცეული კონცენტრულ წრეში. ეს იმ ძეგლთა ჯგუფია, რომელიც იძლევა საშუალებას თვალი გავაღევნოთ XII საუკუნის დასაწყისიდან დაწყებულ პროცესს ბაროკული ტენდენციების გაძლიერებით, მათში დეკორატიულ მომენტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რასაც ხელს უწყობს კიდევ დამატებითი მორთულობაც (ფერადი ქვები, სევადი, იუველირული ნაწარმი, ტიხორული მინანქრები). გელათში საოქრომჭედლო სახელოსნოს ტრადიციებმა მოგვიანოდაც იჩინა

თავი (მაგ., XVI ს.). XVI საუკუნის ოქრომჭედლობის ძეგლთა კარგა მოზრდილი რიგი გელათთანაა დაკავშირებული. მათი წარმომავლობა საქტიტორო წარწერებით არის დამოწმებული. წარწერებში ზოგან თარიღიცაა აღნიშნული, მოხსენიებულია ზოგჯერ შემსრულებელი ოსტატიც. ეს ჯვარ-ხატები მკვეთრად გამორჩეულია ამავე ეპოქის "კახური ჭედურობისგან"; და ისიც ხერხდება, გელათის ეს, სხვადასხვა ხარისხის და მრავალსახოვნების, მთელი ნაწარმი სხვადასხვა ჯგუფებად დავაცალებენ.

• „**მემკვიდრეობითობის“ პრობლემა შუა საუკუნეების ხელოვნებაში – ადრექტისტიანული რელიეფების მაგალითზე, კიტი მაჩაბელი**

ნაშრომში განხილულია შუა საუკუნეების ქართულ საეკლესიო არქიტექტურაში წინარე საუკუნეების რელიეფების გამოყენების პრაქტიკა. ამ მოვლენას, წმინდა პრაქტიკული, კონსტრუქციული მნიშვნელობის გარდა, ღრმა იდეოლოგიური და რელიგიური საფუძვლები ჰქონდა. საეკლესიო მშენებლობაში ადრეული შუა საუკუნეების ქვაჯვარათა გამოყენების ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში Spolia-ს გამოყენება ზუსტად იმავე პრინციპებსა და მიზნებს ემსახურებოდა, რომლებიც გვიანანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების ევროპულ სამშენებლო პრაქტიკაშია დადასტურებული. ოდონდაც, ამ მოვლენას აქ თავისი სპეციფიკა ჰქონდა. ქვეყნის პოლიტიკური და სულიერი განვითარების ისტორიის თავისებურებებიდან გამომდინარე ეს პრობლემა გამოკვლეულია ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპაში არსებულ ვითარებასთან კავშირში. "მემკვიდრეობითობის" პრობლემა შესწავლილია, ძირითადად, ქვემო ქართლის მასალების მიხედვით.


• **შიდა ქართლის ეკლესიათა (ყანჩაეთის კაბენი, წირქოლი, ქურთა) სუროთმოძღვრული კერამიკა, თამარ ხუნდაძე**

ნაშრომში მოცემულია წირქოლის, ქურთას და ყანჩაეთის კაბენის ეკლესიებში აღმოჩენილი კერამიკული ფილების რელიეფური გამოსახულებების აღწერა-იდენტიფიკაცია და თემატიკის მიხედვით დაჯგუფება. კერამიკული ფილების კომპოზიციებისა თუ ცალქეულ გამოსახულებათა იკონოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე მათი შესრულების სავარაუდო პერიოდი VIII-IX სს-ით განისაზღვრა. ყურადღება ეთმობა ტაძარში რელიეფურგამოსახულებიანი კერამიკული ფილების აღგიღლისა და ფუნქციის საკითხის გარკვევას, როგორც თავდაპირველი, ისე მეორადი (ყანჩაეთის კაბენი) გამოყენების შემთხვევაში.

• **ბრდაძორის დიდი ქვასვეტი, თამარ დადიანი**

ბრდაძორის დიდი ქვასვეტის (ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი) ბაზისი (110×110×110მ) და სვეტი (600×42გ42მ) შემორჩენილი. ბაზისის მთავარი გვერდი ბოლნურ ჯვარს უკავია, დანარჩენი გვერდები კი ასტრალური ნიშნებითა და წუქურთმებითაა დაფარული. საკუთრივ სვეტის პირით წახნაგზე სიუჟეტური კომპოზიციებია – “აბრაამის მსხვერპლშეწირვა”, ცხენის გამოსახულება, საქტიტორო კომპოზიცია, იშვიათი სიუჟეტი, რომელიც დამატებით კვლევას ითხოვს და ჩვენი წინასწარული ვარაუდით, იფთახის ქალიშვილის ისტორიას შეიძლება წარმოადგენდეს, “დანიელი ლომთა ხაროში”, გველეშაპის მლახვრელი წმინდა მხედარი, “შობა” და “მოგვთა თაყვანისცემა.” ფიგურული რელიეფები ძლიერ დაზიანებულია. წახნაგი ასევე საზეიმო ჯვრებითა და ორნამენტული ჩანართებით არის შემკული. ქვასვეტის ძირითად იკონოგრაფიულ ჩანაფიქრს ქრისტეს მსხვერპლის მაუწყებელ ძველადთქმისეულ სიუჟეტებით განმტკიცებული ხსნისა და სულის უკვდავების თემა წარმოადგენს. ბიბლიური სცენებისა და ორნამენტული კომპოზიციების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე რელიეფები VI-VII საუკუნეთა მიჯნით თარიღდება.

14. შუა საუკუნეების ქართული პედლის მხატვრობა



• წევის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა, იუზა ხუსკივაძე

წევის წმ. გიორგის ეკლესიის დღეისათვის თუმც სამნავიან ბაზილიკად წარმოგვიდგება, მაგრამ თავიდან იგი ერთადერთ ნავად, დარბაზულ სივრცედ ყოფილა მოაზრებული. ნაგებობას რამდენჯერმე განუცდია ცვლილება. თავდაპირველი დარბაზული ეკლესია XIII-XIV სს-თა მიჯნაზე უნდა იყოს აგებული. მცირეოდენი დახანებით (შესაძლოა XIV ს-ის პირველსავე ნახევარში) მასზე სამხრეთიდან მინაშენი მიუდგამთ. ხოლო 1863 წელს ბერძენ ოსტატებს ნაგებობის შემორჩენილი ნაწილი ახალ სამნავიან ბაზილიკაში მოუქცევიათ. ტაძარი სამჯერ არის მოხატული – სავარაუდოდ, XIII ს-ის გასულს, მომდევნოდ, სულ რაღაც ათეული წლების შემდგომ პერიოდში და XVI ს-ის პირველ ათეულ წლებში, როდესაც დარბაზული ტიპის ტაძრების კედლის მხატვრობაში ხალხური ნაკადი მძლავრობს.

• ჯაყელთა მოხატულობების ინტერპრეტაციისათვის (თემაზე მუშაობა განხაზღვრულია 2011-2013 წწ.), მზია ჯანჯალია

კვლევა ემყარება ჭულეს წმ. გიორგისა და საფარის წმ. საბასა და ღმრთისმშობლის ეკლესიათა მოხატულობების საკონსერვაციო სამუშაოთა შედეგად გამოვლენილი ახალი მონაცემებისა და არსებული ისტორიული წყაროების ანალიზს. ნაშრომის მიზანია მოხატულობათა შემადგენელი ნაწილების შესრულების თარიღების დაზუსტება და მოხატულობათა დახასიათება თანადროული ქართული და ბიზანტიური კედლის მხატვრობის ტენდენციათა კონტექსტში.

• დავითგარეჯის თეთრი უდაბნოს მონასტრის მოხატულობა, მარინე ბულია

თეთრი უდაბნოს მონასტრის მთავარ ტაძარში მხატვრობა მხოლოდ საკურთხეველს ამჟობს და ძალზე იშვიათი გამოსახულებებისგანაა შედგენილი (კონქში – გოლგოთის განდიდებული ჯვარი; ქვედა რეგისტრში მირქმის ხატისებრი, ფრაგმენტულად შემორჩენილი სცენა). მოხატულობის შესახებ ზოგადი ცნობები გამოქვეყნებული აქვს ზ. სხირტლაძეს. მეცნიერი მას VII, არაუგვიანეს VIII საუკუნის დასაწყისით ათარიღებს. კვლევისას განიმარტა მოხატულობის შინაარობრივი თავისებურება და დადგენილ იქნა მისი იკონოგრაფიული პროგრამის სავარაუდო ლიტერატურული პირველწყარო (ეკვუქი იერუსალიმელის მირქმისადმი მიძღვნილი პომილია, ამ სიუჟეტისადმი მიძღვნილი საგალობლები). სცენათა იკონოგრაფიული რედაქციებისა და მოხატულობის სტილური თავისებურებების გათვალისწინებით, მოხატულობა ახლებურად დათარიღდა (IX ს-ის შუა ხანიდან – X ს-ის დასაწყისამდე). ეს თარიღი, როგორც არქიტექტურის, ისე წარწერათა პალეოგრაფიის კვლევამაც დაადასტურა. გამოითქვა ვარაუდი ამ იშვიათი, საქართველოსათვის უცხო იკონოგრაფიული თემების გარეჯში მოხვედრის გზების შესახებაც.

• მეფეთა პორტრეტები XIII-XIV სს. კედლის მხატვრობაში (თემაზე მუშაობა განხაზღვრულია 2011-2013 წწ.), ქოთვან მიქელაშვილი

XIII-XIV საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში მეფეთა რამდენიმე პორტრეტია შემონახული (დემეტრე თავდადებულის პორტრეტი დავითგარეჯის ხარების ეკლესიაში, დავით ნარინის ორი პორტრეტი გელათის ღმრთისმშებლის ტაძრის სახრ-ადმ. ეგვტერში, აქვთ კიდევ ერთი მეფის გამოსახულებაც, რომლის იდენტიფიკაცია დღემდე საკამათოა; დავით ნარინისა და დავით ულუს პორტრეტები რუისპირის წმ. შიოს ტაძარში, ბაგრატ V-ისა გელათის ღმრთისმშებლის ტაძრის კარიბჭეში); 2011 წელს დამუშავდა ამ მეფეებთან დაკავშირებული ისტორიული ყწაროები; მათი პორტრეტების შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა; დაისახა სამომავლო კვლევის პრობლემატიკა, კერძოდ იკონოგრაფიულ რედაქციათა თავისებურებანი, ტრადიცია და

სიახლე, რომელიც ამ ეპოქის პორტრეტულ ხელოვნებაში გლინდება; მეფეთა და წარჩინებულ პირთა პორტრეტების მსგავსება-განსხვავებანი და სხვა.

- **პადიშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა (თემაზე მუშაობა განხაზღულია 2011-2012 წწ.),** მარინე ყენია

ნაშრომში განხილულია ზემო სვანეთში შემორჩენილი თამარის ეპოქის ერთ-ერთი საინტერესო ფრესკული ანსამბლის, პადიშის მაცხოვრის ეკლესიის მოხატულობა. მხატვრობის იკონოგრაფიული თავისებურებანი, პროგრამის აგების საეციფიკურობა და მათი მიმართება, ერთის მხრივ, XII საუკუნის სვანეთის მოხატულობებში ანსამბლის საერთო იდეური გადაწყვეტის პრინციპებთან, ხოლო მეორე მხრივ, უმუშის მაცხოვრის ეკლესიის თანადროულ მოხატულობასთან ავლენს საერთო ნიშნებს. განხილულია აგრეთვე მოხატულობის საქტიტორო პორტრეტი.

- **იგვის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა (2010 წელს დაწყებული სამუშაოს გაგრძელება),** ეგატერინე გედევანიშვილი

ნაშრომში განხილულია იგვის ტაძრის მოხატულობის წმ. გიორგის ციკლის თავისებურებანი. გამოვლენია ამ ციკლის ქართული იკონოგრაფიული მახასიათებლები. იკონოგრაფიული და სტილისტური ანალიზის საფუძველზე დაზუსტდა მოხატულობის თარიღი (XII საუკუნის დასაწყისი). საგანგებოდა განხილული მოხატულობის მეორე ფენაც, XIII საუკუნეში შესრულებული დასავლეთ მკლავის ფრესკები.

- **დავით-გარეჯის 40 მოწამის ეკლესია-მარტირიუმის საკურთხევლის მოხატულობა,** თინათინ ხოშტარია (წლის განმავლობაში თემა შეიცვალა ახალი თემით ბობნევის XVII საუკუნის დარბაზული ეკლესიის მოხატულობა (თემაზე მუშაობა განსაზღვრულია 2011-2012 წწ.)

ბობნევის ცალნავიანი ეკლესიის მოხატულობა ამ ტიპის ეკლესიათა დამახასიათებელ იკონოგრაფიული პროგრამას მისდევს. ტაძარში არსებული წარწერებით ირკვევა, რომ ეკლესია და მისი მოხატულობა XVII ს-ის პოეტ იოსებ ტფილელის (სააკაძის) ხარჯითა და თაოსნობით ყოფილა აგებული. მისი პორტრეტი ქვედა რეგისტრშია წარმოდგენილი. 2011 წელს შესრულდა საველე სამუშაო, მოხატულობის ფოტოფიქსაცია და სქემაზური ჩანახატები.

- **ვარძიის მთავარი ტაძრის კოლორიტი და ფერადოვანი გადაწყვეტა,** ანი კლდიაშვილი

ვარძიის მთავარი ტაძრის მოხატულობის კოლორიტი თამარის ეპოქის ძეგლებს შორის გამორჩეული და მეტად თავისებურია. თავშეკავებული, ძირითადად ლურჯისა და მუქშინდისფრის სხვადასხვა ტონალობაზე აგებული კოლორიტი მდიდრულ, მხატვრობის მართლაც რომ სამეფო ქდერადობას განაპირობებს. ფერადოვანი გამა მრავალფეროვანია და ხან სხვადასხვა ფერების ტონალურ შესამებაზეა აგებული, ხანაც – კონტრასტებზე. თუმცა გასაოცარი მთლიანობით გამოირჩევა. საერთო გამაში ლურჯ ფონზე განაწილებული ფერადოვანი ლაქებით მეტად ცოცხალი და მრავალფეროვანი რიტმი იქმნება. ფერი ხშირად აზრობრივი მახვილის როლსაც ასრულებს. მთლიანობაში მხატვრობის კოლორიტი უღერადი, მდიდარი და მთლიანია, რაც მხატვრობის მთლიანობის შთაბეჭდილების შექმნაში განხაკუთრებულ როლს ასრულებს.



1.5. შუა საუკუნეების ჩართული ხელნაწერი

ფიგურის დასურათება

- **მეფეთა გამოსახულებები ქართულ ისტორიულ საბუთებში,** ეთერ ედიშერაშვილი ნაშრომში განხილულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საბუთები მეფეთა პორტრეტებით: Qd 7118 – სასისხლო სიგელი, მიცემული გიორგი VIII-ის მიერ გიორგი

ქურულისათვის, 1460; Qd 9021 – გიორგი VIII-ის მიერ მდგდელმონაზონ იოვანე ორალელისძე-კვიტაშვილისათვის მიცემული სასისხლო სიგელი, 1463; Qd 6937 – იმერეთის მეფე ბაგრატ III-ის მიერ მედვინეთუხევცეს ბიძისთვალ და მახარებელ გირგილაძისათვის მიცემული სასისხლო სიგელი, 1520; Qd 1317 – იმერეთის მეფე ბაგრატის III-ის მიერ აზნაურიშვილ ჯაკვა შერგილაძისათვის მიცემული სასისხლო სიგელი, 1554; Ad 1837 – არჩილ II-ის წყალობის სიგელი სვეტიცხოვლისადმი, XVII ს.; Hd 9457 – სათარხნოს წიგნი მიცემული შაჰნავაზ ხანისა და მისი ძმის გიორგის მიერ კარის დეკანოზ იესესათვის, 1712; Hd 1529 – უმების შეწირულობის წიგნი მიცემული სოლომონ იმერთა მეფის მიერ ჯრუჭის მონასტრისათვის, 1804; Hd 1329 – უმა-მამულის წყალობის წიგნი მიცემული სოლომონ მეფის მიერ ჯრუჭის მონასტრისათვის, 1809. ისტორიულ საბუთებში წარმოდგენილი დონატორები სტილურ-იკონოგრაფიული თვალსაზრისით შუა საუკუნეების ქართულ საერო პორტრეტს ემსგავებიან – ზოგი მონუმენტური მხატვრობის ქართული მოგვაგონებენ, ზოგი – ჭედური ხატებისას. სტილის მხრივ არის პროფესიული და არაპროფესიული ნაკადის ნიმუშები, ზოგიერთში (მაგ., სოლომონ მეფის სიგელი) იგვთება ე.წ. თბილისური პორტრეტის განვითარებისკენ წარმართული გზა.

- “H ფონდის XVI-XVII-XVIII საუკუნეების რელიგიური ხასიათის ხელნაწერთა მინიატურების მხატვრული ტენდენციები, ნუცა ციციშვილი**

თემა მიზნად ისახავდა H ფონდის XVI–XVII–XVIII საუკუნეების რელიგიური ხასიათის ხელნაწერთა მინიატურების აღწერას და მათ კლასიფიკაციას მხატვრულ-სტილური და იკონოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით. განხილულ იქნა 19 ნიმუში: ცნობილი ყანჩაეთის უამნ-გულანი (H 1452) და ნაკლებად ცნობილი ნიმუშები. მასალის კვლევის შედეგად გამოიკვეთა თითოეული საუკუნისთვის დამახასიათებელი მხატვრული ტენდენციები და გამოვლინდა ახალი მონაცემები; მოხდა ზოგი ნიმუშების გადათარიღება, გამოჩნდა სტილურ-იკონოგრაფიული კავშირები ცალკეულ მინიატურებს შორის და სხვ.

1.6. შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების იძოვებრავია



- “უფლის დიდების” კომპოზიცია შუა საუკუნეების ქართულ სკულპტურაში, ეკატერინე კვაჭატაძე**

უფლის დიდების კომპოზიცია (Maiestas Domini) შუა საუკუნეების ქრისტიანულ ხელოვნებაში ძალზე გავრცელებულია, განსაკუთრებით ადრეშუასაუკუნეების ხანაში. ამ სიუკეტებს (მაცხოვრის, ისე ღმრთისმშობლის დიდების კომპოზიციებს) სწორედ, ამ დროს ყველაზე უფრო ხშირად ვხვდებით; თუმცა, მას ქართულ ხელოვნებაში გვიანი შუა საუკუნეების ჩათვლითაც გაედევნება თვალი. ჩვენში უფლის დიდების კომპოზიციის მრავალფეროვანი იკონოგრაფიული რედაქციებიც შეიქმნა. ტრიუმფალურ-თეოფანიური ხასიათიდან გამომდინარე ეს სცენები ძირითადად, ეკლესიის საკრალური ნაწილებში: საკურთხევლის კონქი, გუმბათი, არქიტრავი, ტიმპანი და სხვა გამოისახება. საქართველოში ტრიუმფის იდეით განმსჭვალული ადრექრისტიანული ხანის (V-VII სს.) ქართულ სკულპტურაში უფლის დიდების ამსახველ კომპოზიციებს, ასევე სხვადასხვა რედაქციით, ვხვდებით ეკლესიის შესასვლელების თავზე, სტელებსა და კანკელებზე (ხანდისის სტელა, ქვემო ბოლნისის ეკლესიის შესასავლელის არქიტრავზე, ბრდაძორის სტელა, მარტვილის ტაძრის

რელიეფი, ნიკორწმინდის (XI ს.) რელიეფი, სვეტიცხოვლის (XI ს.) დას. ფასაძევ, ანანურის (XVII ს.), საგარეჯოს პეტრე-პავლეს ეკლესიაში (XVIII ს.) და სხვ.)



1.7. პატრონაჲი, პულტი და ხელოვნება

- შუა საუკუნეების ქართული ხატების პოლიტიკურ-იდეოლოგიური ასპექტები, ნინო ჭიჭინაძე

ნაშრომის მიზანი იყო ხატის რელიგიური, პოლიტიკური და იდეოლოგიურ მხარეთა აგლება სათანადო ბიზანტიური და ქართული წერილობითი წყაროებისა და დოკუმენტების გამოყენებით. შესწავლილია შუა საუკუნეების ქართული ხატების იდეოლოგიურ-პოლიტიკური ასპექტები. ურადღება გამახვილდა მმართველთა და მაღალ არისტოკრატიულ წრეებთან დაკავშირებულ საეკლესიო ხელოვნების ქმნილებათა იდეური საზრისის გარკვევაზე. სასწაულმოქმედი ხატების პირები და ქრისტიანულ სიწმინდეებთან დაკავშირებული ფერწერული და ჭედური ხატები განხილულია თანადროულ საზოგადოებრივ-სულიერ და კულტურულ-პოლიტიკურ კონტექსტში; დადგინდა მათი მნიშვნელობა და როლი კონკრეტულ ისტორიულ პერიოდებში. კვლევამ დაადასტურა, რომ ბიზანტიის მსგავსად, ჩვენშიც განსაკუთრებით თაყვანსაცემი ხატები და მათი კულტი გადაჯაჭვული იყო მმართველთა, დიდებულთა და საეკლესიო იერარქთა ძალაუფლებასთან და პოლიტიკურ მიზანსწრაფვებთან.

1.8. ხელოვნების ნაზარმოვნების პორაზსების

შედეგენა



- ზემო სვანეთში დაცული შუა საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების ძეგლთა კორპუსი (მთავარანგელოზთა გამოსახულებები საკურთხევლის წინამდებარე ჯვრებზე), დაწყებული სამუშაოს გაგრძელება, რუსუდან ყენია 2011 წელს შესრულდა ზემო სვანეთში დაცული საკურთხევლის წინამდებარე ჯვრებზე გამოსახული მთავარნაგელოზთა გამოსახულებების აღწერა, იკონოგრაფიული და მხატვრული ანალიზი.

19. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების ისტორია



- უახლესი დროის (XX ს-ის) ქართული მხატვრობის ევოლუციის თავისებურებანი, გიორგი ხოშტარია

XIX ს-ის მიწურულიდან საქართველო ითვისებს ევროპული ხელოვნების მიღწევებს პირდაპირ, თუ რუსთის გავლით ეს არ გამორიცხავს ორიგინალობას, ხარისხს, ინდივიდუალურობას. თუ საწყის ეტაპზე უვალაზე მკაფიოდ ეს გ. გაბაშვილთან ჩანს (ინდივიდუალურობის ხარისხი არ არის მაღალი, თუმცა გარკვეულ პროფესიულ-აკადემიურ დონე აღინიშნება), 90-იანი წ-ის მიწურულიდან XX ს-ის 20-იან წ-მდე ქართველი მხატვრები ფიროსმანაშვილიდან, კაკაბაძე-გუდიაშვილამდე აჩვენებენ მაღალ მხატვრულ დონეს, რომელიც სავსებით შეეფერება მოდერნიზმის სტანდარტებს. XX ს-ის 30-იანი წ-დან სიტუაცია იცვლება ხელოვნური ჩარევით. ტოტალიტარული რეჟიმის იდეოლოგიზირებული პრესი პოლიტიკური ბატონობის ამოცანებს სწირავდა მხატვრულ ინდივიდუალურობას. XX ს-ის 50-იანი წ-ის ბოლოდან ისევ პოლიტიკური კონიუნქტურის ცვალებადობის შედეგად იწყება ლიბერალიზაციის პერიოდი და ინდივიდუალურის და ენობრივი სპეციფიკის გამოვლენის შედარებით მეტი საშუალება იქმნება. 80-იანი წლებისთვის ისევ ევროპიდან მოდის ახალი, ფაქტიურად პოსტმოდერნული ტალღა. ეტაპების ეს თანამიმდევრობა, განსაკუთრებული დავის საგანი არ უნდა იყოს. მეორე ეტაპზე, 20-30 წლებში, რომ ჩავარდნას აქვს ადგილი ასევე თითქმის უდაო ფაქტიად შეიძლება მივიჩნიოთ. მაგრამ უფრო დეტალური განსხილვისას ვხვდებით გარკვეულ პარადოქსებს. ქანდაკებაში 30-40-იან წლებში მუშაობს უაღრესად ნიჭიერი მოქანდაკე ნ. კანდელაკი, ხოლო საუკეთესო მონუმენტი 1952 წ-ს შესრულებული გ. კორძახიას მაიაკოვსკია. ფერწერაში ყალბი ნაკადის გვერდით ვხედავთ მაღალი დონის ნამუშევრებს (ქ. მაღალაშვილი (30-იან და 40-იანი წწ-ის I ნახევარში, ალ. ბაჟბეუქ-მელიქოვი, ალ. ციმაგურიძეს, ვ. შერპილოვი). ამგვარი რეზულტატი ხელოვანთა პროფესიული პატიოსნების შედეგია, როცა ისინი იდეოლოგიური პრესის შედეგად უარს ამბობენ XX საუკუნისთვის დამახასიათებელი მკვეთრად პირობით წყობაზე, კერძოდ პროპორციული სისტემის მოშლაზე, მაგრამ აღწევენ მხატვრულ დონეს განზოგადების და მხატვრული ენის გამოვლენის ხარჯზე.

• პირველი პროფესიონალი ფერმწერები (გიგო გაბაშვილი), დალი ლებანიძე ნაშრომში განსხილულია გიგო გაბაშვილის ფერწერული ტილოები. ნამუშევართა მხატვრული ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია მხატვრის თავისებურებანი, მისი მნიშვნელობა და როლი XIX-XX სს-ის ქართულ სახვით ხელოვნების ჩამოყალიბებაში.

- ქართული პლაკატის ხელოვნების საწყისები (XIX ს-ის ბოლო - 1930-იანი წწ.), მარიამ გაჩეჩილაძე

პლაკატის ხელოვნების პირველი ნიმუშები საქართველოში XIX საუკუნის ბოლოდან ფიქსირდება. ამ პერიოდში ძირითადად თეატრის წარმოდგენების სარეკლამოდ განსაზღვრული აფიშები გვხვდება, რომლებიც მხოლოდ შრიფტითაა „გაფორმებული“ და იმ დროის თითქმის ყველა კულტურული დონისძიების შესახებ „ავრცელებს ინფორმაციას“. პირველი დასურათებული აფიშა-პლაკატი საცირკი წარმოდგენისათვის, 1863 წ-ით თარიღდება და ქართული გრაფიკული ხელოვნების ფუძემდებლის, თვითნასწავლი მხატვრის გრიგოლ ბატიშვილის მიერაა შექმნილი. 1921 წლიდან პოლიტიკური პლაკატების ნიმუშებიც ჩნდება, მაგრამ მიუხედავად მათზე დართული ქართული წარწერებისა, მათში არსებული უამრავი ტექსტობრივი შეცდომა გვაფიქრებინებს, რომ ეს რევოლუციური პლაკატები უცხო ქვეყნის მხატვრების მიერაა

შესრულებული, რაც აშკარად დასტურდება სტილისტური მსგავსებითაც, როდესაც მათ შედარებას ამ პერიოდის რუსული პლაკატის ნიმუშებთან ვახდენთ.

ნაშრომზე მუშაობისას მოხერხდა მასალის ნაწილობრივ მოპოვება და არსებული ლიტერატურის თარგმნა-დამუშავება (ო. საველევა, პლაკატის ისტორია. 2006; დ. ჟუკოვი, პოპ-არტი პლაკატის ხელოვნებაში. 2005; ვ. ტოლსტოი, რუსული ავანგარდის კინოპლაკატები; პლაკატის ხელოვნება საბჭოთა რუსეთში (1918-1932 წწ.); დ. ზინოვიევი, აგიტაციურ პლაკატში ასახული მეოცე საუკუნის ისტორია. 2004; და ა.შ.)

- **ქართული ქანდაკება 1930-1950-იან წლებში** (თემა გარდამავალია), ნანა მირცხვლავა

მოძიებული და დამუშავებულია მასალა 1930–1950 წწ. ქანდაკებაში მოღვაწე ორი თაობის წარმომადგენელის – თამარ აბაკელიასა და იაკობ ნიკოლაძის შემოქმედების შესახებ. თ. აბაკელია საბჭოთა ეპოქაში ჩამოყალიბდა როგორც შემოქმედი და თავისი დროის სულისკვეთების უტყუარი გამომხატველი გახდა. იაკობ ნიკოლაძის მოღვაწეობა საბჭოთა პერიოდში ნაკლებადად შესწავლილი. ამ პერიოდში იგი არ შეუშინდა შემოქმედებითი იდენტურობის დაკარგვას და მისთვის არადამასასიათებელ სტილში, თემატიკაში, ჟანრში გააგრძელა მუშაობა თავიდანვე გაცნობიერებული მიზნით, რომ მისი შემოქმედება ყოფილიყო თანამედროვეც და ეროვნულიც. ამ პერიოდში შექმნილი ზოგიერთი ნამუშევრის მსატვრულ-ფორმალური გააზრება განსაზღვრავს მათ უნიკალურ ხასიათს.

- **1950-იანი წლების ქართული ფერწერა** (თემა გარდამავალია), ლიანა ანთელავა 2011 წელს შესრულდა საკვლევი თემის ერთი ასპექტის – ისტორიულ-სოციალურის – გააზრების მიმართულებით. ამ გამოკვლეულში ძირითადია საკითხთა ახლებური დაყენება. სირთულე საკითხისადმი პოზიციურ დამოკიდებულებაშია, რომელიც, როგორც წესი, სტერეოტიპებზე, გავრცელებულ აზრზე მიმდევრობაში ვლინდება. ნაშრომში ზოგადკულტურული მეთოდების გამოყენებით ამისგან განთავისუფლების მცდელობაა განხორციელებული. საბჭოთა ეპოქის სოციო-კულტურული ანალიზისათვის ძირითადად 2000 წ-ის შემდგომ გამოქვეყნებული ლიტერატურაა (რუსული და დასავლური) გამოყენებული. ქართული სოციო-კულტურული სივრცის აღწერა-გააზრების მცდელობა განხორციელებულია ზოგადად მთელი საბჭოთა სივრცის ქართულ სინამდვილესთან ანალიტიკური შედარება-ანალოგიის გზით.

რუსულ კულტურულ სივრცეში მოვლენა, რომელიც კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს, შესავალის სახელდებითაა ცნობილი. ნაშრომში საგანგებო მსჯელობის საგანსია რამდენად მართებულია საქართველოში დამკვიდრებული ტერმინი – “ორმოცდაათიანელები” და რა მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ქართულ კულტურულ ტრადიციას ქართული საბჭოთა ხელოვნების ესთეტიკური ფენომენის ფორმირებაში.

- **ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედეგა ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების საკითხებზე - პერიოდული გამოცემების მიხედვით (ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნების“ დამუშავება), ნინო ჭინჭარაული**

2011 წელს გაგრძელდა ჟურნალის „საბჭოთა ხელოვნება“ - დამუშავება. შედგა 1978, 1984, 1985, 1989, 1991 წლების გამოცემებში სახვითი ხელოვნების სტატიების სრული ბიბლიოგრაფია; რომელსაც ერთვის საძიებელი, რომელშიც ცალკეული სტატიები დარგების მიხედვითაა გადაწყობილი და შემდეგი თანმიმდევრობით ლაგდება: არქიტექტურა, მხატვრობა, ქანდაკება, თეატრის მხატვრობა, გამოყენებითი ხელოვნება, კულტურული მემკვიდრეობა/არქეოლოგია, საგამოფენო რეცენზიები, უცხოეთის ხელოვნება, ახალი წიგნები, პერსონები/იუბილეები და კულტურა/თეორია.

ასევე, შესრულდა მცირე სამეცნიერო კვლევა თანამედროვე ქართულ მხატვრობაში უახლოეს წარსულში გამოკვეთილ სრულიად ახალი მხატვრული ფენომენის – ნეომინიატურული შესახებ. შესწავლილ იქნა ამ მიმართულებით მომუშავე ათამდე მხატვრის შემოქმედება.

- **თბილისური სკოლა. გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები (მინანქრისა და სპილოს ძვლის ნაკეთობები) (XIX ს. 1870-იან წლებამდე), მაია ციციშვილი**

XIX საუკუნის ქართული პორტრეტული მინიატურა წარმოადგენს „ტფილისური პორტრეტული მხატვრობის“ ნაწილს. ამჟამად ცნობილია სამოც პორტრეტამდე. ისინი შექმნილია XIX ს-ის 20-70-იან წლებში. ამ სკოლის ფერწერული ნაწარმოებების მსგავსად,

აქაც ცნობილი ქართული თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილია გამოსახული. მინიატურული პორტრეტების უმეტესობა შესრულებულია ქაღალდზე ან მუჟაოზე ფანჯრით, ტუშითა და აქვარელით. პორტრეტების შედარებით მცირე ნაწილი (დაბლოებით 15-20 ნიმუში) ფაიფურისა და სპილოს ძვლისგან შექმნილ გულსაკიდ მედალიონებს წარმოადგენს, რითაც კიდევ უფრო მეტადაა გამოკვეთილი მათი მემორიალური ხასიათი და დანიშნულება. ყველა პორტრეტი შესრულებულია „ტფილისური პორტრეტული სკოლისათვის“ ნიშანდობლივი მახასიათებლების გაზიარებით. ფაიფურისა და სპილოს ძვლის მედალიონებზე თითოეული პირი უმეტესწილად მკერდამდეა დახატული, აქცენტირებულია სახე და უფრო მეტად ყურადღება მორთულობასა და აქსესუარებს ექვევა.

- **საქართველოში მოღვაწე ევროპელი (რუსი, პოლონელი, იტალიელი) მხატვრები (XIX-XX სს), ნინო ჭოდოშვილი**

ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოში მცხოვრები უცხოელი მხატვრების მოღვაწეობა. XIX ს-ის საქართველოს ხელოვნებას ადგილობრივ მხატვრებთან ერთად უცხოელებიც ქმნიდნენ. მათი რიცხვი საუკუნის პირველი წლებში ძლიერ გაიზარდა. აქ ესმირად ჩამოღილებები ევროპელი და რუსი მოგზაურები, მათ შორის მეცნიერები და მხატვრები. უცხოელ ხელოვანთა ნამუშევრები მხატვრულ ლირებულებასთან ერთად, ძალზე საინტერესო ისტორიულ დოკუმენტებს წარმოადგენენ. მნიშვნელოვანია მათი როლი XX ს-ის პირველ მესამედშიც. ამ პერიოდშიც საქართველოში მრავალი რუსი და ვეროპელი მხატვარი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. მათი უმეტესობა აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ მხატვრულ ცხოვრებაში, ხოლო 1910-იან წლებში თბილისში დამკვიდრებულმა ახალგაზრდა ხელოვანებმა, ახალი თაობის ქართველ მხატვრებთან ერთად, მოდერნისტული ხელოვნების განვითარებას შეუწყვეს ხელი.

- **ექსპრესიონისტული ტენდენციები ქართულ მხატვრობაში (შალვა ქიქოძე, მიხეილ ჭიათურელი; საურნალო-საგაზეთო გრაფიკა XX ს-ის 30-იან წლებამდე), ცისია კილაძე**

1920-იან წლებში ზოგიერთი ქართველი მხატვრის შემოქმედებაში თავს იჩენს ექსპრესიონისტული ნიშნები, სამყაროს დრამატული აღქმა, რაც მსოფლიოში იმჟამად გავრცელებული ტენდენციების გამოძახილია. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა შ. ქიქოძის, მ. ჭიათურელის, ი. გამრეკელის, ვ. სიდამონ-ერისთავის შემოქმედება. რა თქმა უნდა, ექსპრესიონიზმის უშუალო ზეგავლენა ამ მხატვრებთან არ იკოთხება, რადგან ყოველი მათგანის მხატვრობა მკაფიო ინდივიდუალური ხედვით გამოირჩევა. თუმცა ზოგიერთი ნამუშევარი მსგავსებას ამჟღავნებს ჩრდილოურ ექსპრესიონიზმთან. მაგ., შ. ქიქოძის ავტოპორტრეტები გარკვეულ მსგავსებას ავლენს ევროპული ექსპრესიონიზმის ნიმუშებთან. მისი ავტოპორტრეტების მაგალითზე აშკარაა ეროვნული ნიადაგის ძიება, დასავლეთევროპული მხატვრობის გამოცდილების გაზიარება და ინდივიდულაური ხედვა.

- **მოსე და ირაკლი თოიძეების მხატვრობა ქიმერონში, თეატრაბაზე**

მოსე და ირაკლი თოიძეების მოხატვლობა ყოფილი არტისტული კაფე „ქიმერონის“ მთავარი დარბაზის მიმდებარე რამდენიმე გვერდითი სივრცის – სათავსოს – კედლებს მოიცავს. ეს ნამუშევრები სავარაუდო 1920-21 წლებშია შესრულებული. დღეს ამ მოხატვლობის მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი. ფრესკები საყურადღებო მოსე და ირაკლი თოიძეების შემოქმედებასთან და ასევე თავად „ქიმერონის“ მოხატვლობასთან მიმართებით; „ქიმერონთან“ მიმართებით აღსანიშვნია მოხატვლობის თემატიკა, რომელიც, ზოგადად, რომანტიკულ-პოეტური ხასიათით გამოირჩევა. აქ არის ერთგვარად პოეტიზებული ეთნოგრაფიული ელემენტები, ქართული ლეგენდის მოტივები, ისევე როგორც „ცისფერყანწლებთან“ დაკავშირებული მოტივები. კომპოზიციათა ხასიათი უფრო დეკორაციულ-ორნამენტულია, ნაკლებად სრუქტურული, უმეტესად მოჩარჩოების გარეშ უწყვეტად გადადის ერთი პედალიდან მეორეზე. მოსე და ირაკლი თოიძეებთან, ისევე, როგორც ქიმერონის სხვა მხატვრებთან ვლინდება კავშირი მათივე დაზგურ მხატვრობასთან.

- ძველი თბილისის თემატიკა ქართველ გრაფიკოსთა შემოქმედებაში (კ. კვესი, დ. გაბაბაძე, ნ. ჩერნიშვილი, ბ. ბებუთოვა-გაბუნია, დ. გველესიანი), მარინე მემარიაშვილი (თემა გარდამავალია)

2011 წლის მანძილზე შეგროვდა დოკუმენტური და მხატვრული მასალა, დამუშავდა სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები და იმ პერიოდის პრესა. მასალის სისტემატიზაციის შედეგად გამოიკვეთა სამი ძირითადი ჟანრი: პეიზაჟი, პორტრეტი, სიუჟეტური და ჟანრული ხასიათის კომპოზიციები. შესრულების მანერა მერყეობს სხვადასხვა მხატვართან აკადემიზმიდან ავანგარდულ ძიებამდე.

1920-იანი წლების ბოლომდე ნამუშევრები სრულდებოდა ფანქრით ან ტუშით და მხოლოდ 1927-1929 წლებიდან ქართულ გრაფიკაში შეიმჩნევა ინტერესი სპეციფიური მასალების მიმართ - ამ დროიდან ჩვენ ვხვდებით ლინოგრავიურას, ოფორტს და ლითოგრაფიას.

- თბილისური ავანგარდი 1910-1920-იან წლებში - კულტურა/ხელოვნება და მისი მნიშვნელოვანი წარმომადგენლები (დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, შალვა ქიქოძე, ბენო გორდეზიანი, ირაკლი გამრეკელი, კირილე და ილია ზდანევიჩები და სხვები), მზია ჩიხრაძე

ნაშრომში განხილულია თბილისური ავანგარდი ისტორიულ-კულტურულ და პოლიტიკურ-სოციალურ ჭრილში, მისი მრვალეროვნული, მრავალ შრეობრივი და ინტელექტუალური ხასიათი. გამოიყო ის შემოქმედნი, რომელთაც დიდწილად განსაზღვრეს ქართული ავანგარდის სახე, თუმცა ზოგიერთი მათგანი ცხადად გამოხატულ ავანგარდისტებად ვერ მოიაზრება, მაგრამ მათი შემოქმდებითი ძიებები აახლოებს მათ ავანგარდთან. აღსანიშნავია ამ უკანასკნელთა ავანგარდულ წრეებთან სოციალურ/კულტურული ერთობაც და ერთიანი ქართულ/თბილისური კულტურული გარემოს შექმნისას ამ შემოქმდთა მონაწილეობა, კულტურული პროცესების ავანგარდში ყოფნა და მათი წარმართვა.

• **სივრცის პრობლემა ქართულ-ტფილისურ მოდერნიზმში.** ნანა ყიფიანი ნაშრომი მიზნად ისახავს ქართულ-ტფილისური 1910-1920-იანი წლების მოდერნიზმის თავისებურება შეძლებისდაგვარად გამოავლინოს მასში სივრცის მნიშვნელობის პკლევით: თუ რატომაა სივრცე ასეთი მნიშვნელოვანი ქართული მოდერნიზმისთვის, რა სახის სივრცე აინტერესებს მას, როგორ უკავშირდება მისი სივრცითი აზროვნება ტრადიციას.

ნაშრომში გაანალიზებულია ქართველ მოდერნისთა შემოქმედება, უფრო კი მათი ცალკეული, ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებები, იმ პერიოდის პუბლიკაციები და მწერლებისა და პოეტების ნააზრევი.

სივრცითი აზროვნების თავისებურება გამოვლენილია დასავლეთ ევროპის ვიზუალურ მასალასთან შედარების გზითაც და იმ პერიოდის მნიშვნელოვანი თეორიული ნააზრევების ანალიზითაც.



1.10. ქართული სცენოგრაფია

- **XIX-XX საუკუნეთა მიჯნის თეატრის მხატვრობა** (ურნალ-გაზეთების დამუშავება: „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ივერია“ ... XIX-ის 80-იანი წლებიდან 1920 წლამდე), (თუმაზე მუშაობა განსაზღვეულია 2010-2012 წწ.), ელენე თუმანიშვილი
- **XIX-XX საუკუნეთა მიჯნის თეატრის მხატვრობის შესასწავლად დამუშავდა პერიოდული გამოცემები (ურნალ-გაზეთები: დმუშავება: „დროება“, „ცნობის ფურცელი“, „სახალხო გაზეთი“, „თეატრი და ცხოვრება“, „ივერია“... XIX-ის 80-იანი წლებიდან 1920 წლამდე).**

- თეატრის მხატვრობა 1930-იანი წლებში (თამარ აბაკელია, ირინა შტემპერგი, მიხეილ შავიშვილი, ალექსანდრა თევზაძე), მარიანა ოკლეი

XX ს-ის 20-30-იანი წლების ქართული თეატრი და სცენოგრაფია სრულად ასახავს ამავე ეპოქის ხელოვნების სხვა დარგების ტენდენციებს, ეპოქის დამახასიათებელ სტილისტურ მრავალფეროვნებას. თეატრალურმა მხატვრობამ არა მარტო გამოიყენა XX ს-ის დასაწყისის ავანგარდული თეატრის პრინციპები, არამედ ეროვნული ქურადღება მიანიჭა მათ. 1920-იანი წ-ის ავანგარდული მიმართულების მრავალმხრივი გამოყენება ჯერ კიდევ 1930-იანი წლების I ნახევარში მეტ-ნაკლებად შესაძლებელი იყო. ამავე სანის II ნახევრიდან თეატრში მოღვაწე მხატვრები ძლიერი იდეოლოგიური წესის ქვეშ აღმოჩნდნენ. სცენური სივრცის მიმართ გაჩნდა შედარებით „მარტივი“ დამოკიდებულება. თუ 1920-იანი წლების მხატვრები სცენის მთელ გარემოს ითვისებდნენ, სადაც ლაკონური, აბსტრაქტულ-გეომეტრიული კონსტრუქციები მსახიობებს განსაკუთრებულ რიგმს, მიზანსცენათა კონტრასტულ შეპირისპირებისა და ფსიქოლოგიური მსახველების გადაწყვეტას სთავაზოდნენ, 1930-იანი წლების ბოლოდან ისინი იძულებული იყვნენ სცენა თხრობით-ლიტერატურულ დონემდე დაეკვანათ, რეალისტური პანო-სურათები სცენის ფონად წარმოედგინათ.

კვლევისთვის შერჩეული მხატვრები თრივე ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ამჟღავნებენ.

- **XX ს-ის 30-ანი წლების ქართული თეატრის ერთი უცნობი მხატვრის შემოქმედება (ლ. ბაზანკური), თამარ ბელაშვილი**

XX ს-ის პირველი ათწლეულები მრავალმხრივ საინტერესო პერიოდია ქართული თეატრის ისტორიაში. საყურადღებოა საქართველოს რეგიონების თეატრებში მოღვაწე მხატვრების შემოქმედებაც. ნაშრომი ეძღვნება ლ. ბაზანკურის შემოქმედებას, რომელიც ძირითადად ბათუმის თეატრში მოღვაწეობდა. გამოკვლეულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში დაცული ლ. ბაზანკურის მიერ შესრულებული დეკორაციებისა და კოსტუმების ესკიზები სპექტაკლებისათვის: „წმ. იორგერის დღესასწაული“ და „7 დღე“ (1929-1930 წწ.). დეკორაციების ესკიზებში იკვეთება მხატვრის ინტერესი სცენის სივრცის გეომეტრიზირებული და იმავდროულად ლაკონური ფორმებით კონსტრუირებისაკენ. იმავე სპექტაკლებისათვის შექმნილი კოსტუმები კი – კვლავინდებულად ისტორიული რეალიზმით ხასიათდება.



1.11. ახალი არქიტექტურის განვითარების ისტორია

• **XIX საუკუნის თბილისის საერთ არქიტექტურა, (გარდამავალი თემა) მაია მანია 2011 წელს შესრულდა საველე სამუშაო თბილისის უდიდესი და ერთ-ერთი უძველესი სამოსახლო უბნის – კალას რამდენიმე მიკროუბანზე. პარალელურად დაკვირვება გრძელდება (თვალით და გრაფიკული ანალიზის, საარქივო ფოტოების თანამედროვე მდგრმარებასთან შედარებითა და შეჯერებით გზით) თბილისის უძველესი უბნის – საკუთრივ თბილისის ერთ-ერთ ურბანულ მონაკვეთზე. ყოველივე ეს ემსახურება თბილისის ძველი უბნების ურბანული თავისებურებების, უბნების სივრცითი აგებულების სპეციფიკის და ცალკეული საცხოვრებელი სახლების ტიპილებიური მრავალფეროვნების და სიძველის გამოვლენას. რადგან თბილისის არქიტექტურის კვლევა ამოუწურავია და ერთბაშად ვერ მოხერხდება, ამიტომ მიზნადაა დასახული ცალკეული ურბანული მონაკვეთების კვლევის საგნად გადაქცევა, რაც შემდგომში ერთ დოკუმენტურ მასალად შეიკვრება, აღნიშნული მასალა კი საფუძვლად დაედება თეორიულ ნაშრომს თბილისის არქიტექტურის შესახებ.**

- **საქართველოს XIX ს-ის მიწურულისა და XX საუკუნის 1910-იან წლების არქიტექტურა (თემა გარდამავალია), თამაზ გერსამია**

